აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33

21 ივნისი 2006 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების მე-3 მუხლის 1 და მე-2 პუნქტის თანახმად, ***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:***

1. გამოცხადდეს კონკურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:
   ა) საერთო სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
   ბ) საერთო სამსახურის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული;
   გ) საორგანიზაციო სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
   დ) საორგანიზაციო სამსახურის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული;
   ე) იურიდიული სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
   ვ) იურიდიული სამსახურის სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული;
   ზ) ეკონომიკური სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
   თ) ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული;
   ი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
   კ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული;
   ლ) კადრების სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული;
   მ) მთავარი ბუღალტერი – 1 საშტატო ერთეული.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტთა საბუთების მიღება განხორციელდეს განცხადების პრესაში გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში.

3. საბუთების მიღება, რეგისტრაცია, საკონკურსო კომისიისათვის მომზადება აწარმოოს საკონკურსო კომისიის სამდივნომ.

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. № 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე